

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
განათლების და კულტურის სამსახურის**

2018 წლის ანგარიში

შესავალი

სამსახურის ძირითადი პრიორიტეტია სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლება. მასობრივი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ახალგაზრდებში. არსებული ტურისტული პოტენციალის გაზიარება და პოპულარიზაცია.

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურს 2018 წელს დაუმტკიცდა პროგრამები, რომლის შესრულებაც ასე გამოიყურება:

#	ღონისძიების დასახელება	სულ გეგმა	შესრულება	% მაჩვენებელი
1	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	96 680,0	96 627,0	99.9%
2	კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება	63 000,0	62 930,0	99.9%
3	ახალგაზრდული ღონისძიების დაფინანსება	40 000,0	39 241,0	98.1%
4	სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა	35 000,0	35 000,0	100%

აღნიშნული მიმართულებით 2018 წელს განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლის ვრცელი და სრული მიმოხილვა იქნა მომზადებული, მანამდე კი წარმოგიდგინთ მოკლე სურათს ჩატარებული აქტივობების:

განათლება:

✚ მომზადდა და დამტკიცდა ბავშვთა ძალადობის (რეფერირების) საკითხებზე მუნიციპალიტეტის სამოქმედო ინსტრუქცია და მოხდა ჭარნალის ერთი ფაქტის გადამისამართება, რიტაც ოჯახს დიდი დახმარება გაეწია სახელმწიფო, რეგიონალური და მუნიციპალური პროგრამებით;

✚ დამკვიცდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ოჯახების მოწყვლადობის (ფოკუსით ბავშვთა მიმართ ძალადობის და ბავშვთა შრომის შემთხვევები) განმაპირობებელ ფაქტორებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭო, რომელმაც ჩაატარა 3 შეხვედრა, განხილული იქნა 14 ოჯახის საკითხი. საბჭოში გაერთიანებულია სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც განიხილავენ ოჯახებს, სადაც ბავშვზე ზრუნვა და მათ მიმართ ძალადობის ეჭვი არსებობს. საბჭოს მუშაობას საკმაოდ კარგი შედეგები აქვს.

✚ ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობის პირთა საკითხებზე მომუშავე კომისიის შეხვედრა განხილული პრობლემური საკითხები აისახა ოქმში, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა;

✚ გაიხსნა 3 (მახინჯაური, ფერია, ხელვაჩაური №2) საბავშვო ბაღები, რომლის ფარგლებშიც განათლებას ღებულობს 350 აღსაზრდელი.

- ✚ სტუდენტური პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პირველი სემესტრში 29 სტუდენტზე, ხოლო მეორე სემესტრში 37 სტუდენტზე დაფინანსება თანხით 35000 ლარი.
- ✚ ჩატარდა **ინტელექტუალური კონკურსები**: „ეტალონი“ მუნიციპალური ტური; „ყველაზე ჭკვიანი“. „კითხვის“ კონკურსი. ჩატარდა კონფერენცია „საქართველოს ისტორიის ფურცლები“. დაწყებით კლასებს შორის „მხატვრულ-შემოქმედებითი“ კონკურსი, შემეცნებითი კონკურსი „სწრაფი მეანბანე“, ნოდარ დუმბაძის და სულხან-საბა ორბელიანის საღამო, ლიტერატურული კონკურსი „წიგნი მომავლის ხედვა“, მათემატიკური კონკურსი „მოაზროვნე“.
- ✚ ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მასშტაბით გამართულ 5 კონკურსს ფესტივალში, სადაც სხვადასხვა საპრიზო ადგილი დაიჭირეს.
- ✚ გაიმართა მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება და პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენცია;

სპორტი. 2018 წლის ბიუჯეტი 96627 ლარი.

- ✚ მოეწყო შეხვედრა სპორტის პედაგოგებთან და მათთან ერთად დაიგეგმა საჯარო სკოლებს შორის ჩატარდა **28-ე სპორტული თამაშები**. სულ 9 სპორტული ღონისძიება 7 სპორტის შემდეგ სახეობაში (ფრენბურთი (გოგონები, ვაჟები); ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა; ხელბურთი; მინიფეხბურთი; მძლეოსნობა; მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი. ჩართული იყო 1000 მდე მოსწავლე. ფულადი თანხა გადაეცათ სპორტოს პედაგოგებსაც.
- ✚ დაფინანსდა შშმ პირთა სპორტულ - გამაჯანსაღებელი პროგრამით უზრუნველყოფა (ისარგებლა 10 შშმ პირმა), დაისვენეს ბორჯომში.
- ✚ საქართველოს **სასკოლო სპორტული ოლიმპიადის** ფარგლებში ჩატარდა სპორტული ღონისძიებები (2000-2002წწ დაბადებულთა შორის), სპორტის 6 სახეობაში. გამარჯვებული საჯარო სკოლები მონაწილეობას ღებულობდნენ აჭარის ჩემპიონატში;
- ✚ „**სპორტის საერთაშორისო დღის**“ ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები, დაჯილდოვდა 2 ვეტერანი სპორტსმენი;
- ✚ ჩატარდა ტურნირი **საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი** ასევე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **საქართველოსთვის დაღუპულ გმირთა** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი;
- ✚ ფეხბურთში ჩატარდა ტურნირები: ზურაბ ხაბაძის, ზებურ ბოლქვაძის, მინდია აბაშიძის, ანზორ და თენგიზ ფერცელიძეების სახელობის.
- ✚ ჩატარდა ტურნირები ძიუდოში, ძალოსნობაში, მშვილდოსნობაში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში.
- ✚ „ველომარათონი 2018“;
- ✚ **საბავშვო ბაღებში** ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა 2 ღია სახალისო შეჯიბრი, რომელშიც ჩართულია 18 ბაღის 350-მდე აღსაზრდელი;
- ✚ **დაფინანსდა** სპორტსმენებისა და მწვრთნელების მივლინება სხვადასხვა ტურნირებზე.
- ✚ მოხდა 35 ადამიანის (სპორტსმენები, მწვრთნელები) **2018 წლის შედეგების წახალისება**.
- ✚ შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი საფეხბურთო კლუბი „მაჭახელასთვის“.

კულტურა და ტურიზმი

ჩატარდა შემდეგი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები:

- ✓ დაჯილდოვდნენ სოფლის ღვაწლმოსილ ადამიანები (11 კაცი) და უფასო სამედიცინო აქციებში ჩართული ექიმებთან შეხვედრა მოეწყო.

- ✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა გახსენების ღონისძიებები (25 თებერვალი, 9 აპრილი; 9 მაისი; 26 მაისი);
- ✓ გამოიცა ჩიტო ომერაძის წიგნი „საუბარი მამასთან“, რომელიც ეხება ხელვაჩაურის მუზეუმის ხელმძღვანელს და მის ბიოგრაფიას;
- ✓ დედისა და ქალთა დღე კლუბებსა და კულტურის სახლებში (12 ღონისძიება);
- ✓ ჩატარდა ხატვის კონკურსი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს შორის;
- ✓ მოეწყო კულტურის თანამშრომელთა დღის ღონისძიება;
- ✓ ჩატარდა სიმღერის კონკურსი საჯარო სკოლებს შორის;
- ✓ განხორციელდა ახალი თოჯინების სპექტაკლის „ნამცეცას“ პრემიერა;
- ✓ ჩატარდა სახალწლო დღესასწაულები: დამოუკიდებლობის დღე, „კოლხობა“ და „მაჭახლობა სპორტული და კულტურული ღონისძიებები“;
- ✓ მოხდა ანიმაციური ფილმების ჩვენება და ვორქშოპი გაიმართა ახალშენის საჯარო სკოლაში.
- ✓ გაიმართა ფოლკლორული ღონისძიებები სოფლებში (7 სოფელი);
- ✓ ხელვაჩაურის სასოფლო კლუბების ანსამბლები მონაწილეობასღებულობდნენ აჭარის სიმღერის და ცეკვის ანსამბლების დათვალიერებაში, რომელსაც წინ უსწრებდა მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული დათვალიერება (33 ანსამბლი);
- ✓ განახლდა ქედქედისა და ჩიქუნეთის კლუბებში ინვენტარი;
- ✓ საახალწლო ღონისძიების ფარგლებში მომზადდა სპექტაკლი;
 - ✓ მუნიციპალიტეტი წარდგენილი იყო ტურისტულ გამოფენებზე;
 - ✓ მუზეუმის კვირეულის ფარგლებში მოეწყო გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები მუზეუმებში, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლების მოსწავლეები.
 - ✓ სეზონის პერიოდში სამსახურის თანამშრომლებმის მიერ განხორციელდა მონიტორინგი და მითითებები კვების ობიექტებზე.
 - ✓ დასუფთავდა მირვეთის, სარფისა და გვარას ტურისტული ადგილები.

ახალგაზრდული ღონისძიებები (ცენტრი)

არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს ჩატარდა ტრენინგები, საჯარო ლექციები, სემინარები და გაკვეთილები:

- ✓ ტრენინგი თემაზე "პიროვნება და საზოგადოება, სოციალური ადაპტაცია"
- ✓ ტრენინგი თემაზე: "კონფლიქტების მართვა, ძალადობასთან ბრძოლა"
- ✓ ტრენინგი თემაზე: "მოზარდის პიროვნული განვითარება"
- ✓ ტრენინგი თემაზე : „დემოკრატია და ადამიანის უფლებები“
- ✓ ლექცია თემაზე: „რელიგიების წარმოშობის ისტორია და არსი“
- ✓ ტრენინგი თემაზე : „მოხალისეობა“
- ✓ ტრენინგი თემაზე: „პროექტის წერა და მართვა“
- ✓ ტრენინგი თემაზე: „სამოქალაქო აქტივიზმი და ახალგაზრდების ჩართულობა“
- ✓ ტრენინგი თემაზე: „ კულტურული მრავალფეროვნება“
- ✓ ტრენინგი თემაზე: „ნარჩენების მართვა“
- ✓ ტრენინგი თემაზე „კარიერის დაგეგმვა, მართვა და მისი მნიშვნელობა“
- ✓ დისკუსია თემაზე: „წიგნის განსხვავებული გაგება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებში“



- ✓ ტრენინგ-კურსი: „მეტყველების კულტურის განვითარება“
- ✓ პროექტ „მედიაწიგნიერების“ ფარგლებში ჩატარდა 5 შეხვედრა
- ✓ სემინარი თემაზე: „დებატების სწავლების პრინციპები და ტექნიკა“
- ✓ საჯარო ლექცია თემაზე: „საჯაროდ გამოსვლის ხელოვნება“
- ✓ საჯარო ლექცია თემაზე: „რა არის ფილოსოფია?“
- ✓ საჯარო ლექცია თემაზე: „მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა“
- ✓ საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს გასაბჭოება და რეპრესიები, რეჟიმის უარყოფითი მხარეები“

კლუბების მუშაობა

- **ინტელექტუალები:** ჩატარდა 21 ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ დაწლის შემაჯამებელი თამაში.
- **კინოკლუბი:** ნაჩვენები და განხილული იქნა 10 ქართული და უცხოური ფილმი;
- **კითხვის კლუბი:** მოწვეულმა მოდერატორებმა ახალგაზრდებთან ერთად განიხილეს 12 მწერლის 12 ნაწარმოები; - წერითი ფორმით გაიმართა ვიქტორინა „ანტიკურ მითოლოგიაში“.
- **არტკლუბი:** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში მოეწყო ახალგაზრდების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა; * მოწვეულმა რეჟისორმა მერაბ ლებანიძემ აკაკი წერეთლის ნაწარმოების მიხედვით დადგა სპექტაკლი სახელწოდებით „გამზრდელი“. რომელშიც ხელვაჩაურში მცხოვრებმა 16-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. სპექტაკლი ნაჩვენები იქნა ორჯერ და მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ დრამატული თეატრისა და ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა თეატრის ბილეთები. სპექტაკლი საქველმოქმედო იყო და შემოსული თანხა მძიმე სენით დაავადებული ბავშვების საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხა;
- **ინგლისური ენის კლუბი:** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში კვირაში ერთხელ ტარდება ინგლისური ენის კლუბის წევრების შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც ტარდება დისკუსიები ინგლისურ ენაზე. ამ ეტაპზე მასში გაწევრიანებულია 28 ახალგაზრდა. კლუბს ხელმძღვანელობს ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომელი, მშვიდობის კორპუსის მოხალისე დეინა ვაისი.
 - **შშმ პირთა მშობელთა კლუბი-**კლუბი იკრიბება თვეში ერთხელ.
 - **სხვა ღონისძიებები:**
 - ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა გასართობ-შემოქმედებითი ღონისძიება. პროგრამა მოიცავდა: შემოქმედებით აქტივობებს, გუნდურ შეჯიბრებებს, სახალისო და სამაგიდე თამაშებს, მინი დისკოსა და კარაოკეს აქტივობებს. ახალგაზრდობის ცენტრის აქტივობებში ჩართულობისთვის სიგელები და წიგნების მაღაზიის ვაუჩერები გადაეცათ საჩუქრად ახალგაზრდებს, რომლებმაც 2018 წელს დაამთავრეს სკოლა. საზეიმო დღე ფერების ღონისძიებით დასრულდა.
 - ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო ლაშქრობა, დასუფთავების აქცია და პიკნიკი სოფელ მირვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამავე დღეს გაიმართა სხვადასხვა აქტივობა ახალგაზრდობის ცენტრის წევრ გოგონათა მონაწილეობით.
 - ახალგაზრდა დამწყები მწერლებისთვის წამახალისებელი ღონისძიება მოეწყო ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა დამწყებმა მწერლებმა,

რომლებმაც ღია ცის ქვეშ წაიკითხეს საკუთარი მოთხრობა თემაზე "მშვიდი ტალღა" და განიხილეს ის პროფესორ თამარ სირამქსთან ერთად.

- აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.
- გაიმართა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია.
- ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ფლემშობი სახელწოდებით „ადაპტირებული გარემო“
- მოეწყო ეკო-ბანაკი გოგონებისთვის, რომელსაც ამერიკელი მოხალისე დეინა ვაისი ხელმძღვანელობდა.
- გაიმართა "სწრაფი ბეჭდვის მარათონი".
- განხორციელდა საგანმანათლებლო-შემოქმედებითი პროგრამა „გარემოს დაცვა“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ტრენინგი ღია ცის ქვეშ. ტრენინგის დასრულების შემდეგ ახალგაზრდებმა მოწვეული მხატვარ-დეკორატორის დახმარებით საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დაამზადეს სხვადასხვა დანიშნულების ფერადი და გამოყენებადი ნივთები. აქტივობის დასრულების შემდეგ ხელნაკეთი ნივთები გამოიფინა ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში. ღონისძიებაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 35 ახალგაზრდა ჩაერთო.
- დაფინანსდა და განხორციელდა ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი 8 პროექტი.



ანგარიში პროგრამების ფინანსურ ჭრილში იხ. დანართი №1, 2, 3 და 4.